აჭარის სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამა, გერმანიის თანადაფინანსებით და ევრო კავშირის ფინანსური მხარდაჭერით, განხორციელების ფაზაშია. პროგრამის მიზანს, დაბებში მწყობრიდან გამოსული, არასაიმედო და ფრაგმენტულად წარმოდგენილი, ხოლო სოფლებში უმეტესწილად არასათანადო და კუსტარული წყალმომარაგების და წყალარინების (რომელიც უმეტეს შემთხვევაში არც არსებობს) სისტემების თანამედროვე ინფრასტრუქტურით შეცვლას წარმოადგენს.

პროგრამა ორიენტირებულია სტაბილური წყალმომარაგებისა და თანამედროვე წყალარინების სისტემების შექმნაზე შესაბამისი ექსპლუატაციისა და უზრუნველყოფის შესაძლებლობით. აღნიშნული პროგრამის პირველი სატენდერო პროცესი, საერთაშორისო ტენდერი, ექსპლუატაციის მოწყობილობის, სატრანსპორტო საშუალებების, სარემონტო და სწავლების მასალების შესყიდვისთვის, უკვე განხორციელდა. მასალები, მიღებისთანავე გადაეცემა ახალ მუნიციპალურ საწარმოებს, რომლებიც დაარსდება რეგიონის თითოეულ სოფლის მუნიციპალიტეტში. აღნიშნული მასალები პროგრამის ფარგლებში შექმნილი სისტემების მომავალში ადეკვატური ექსპლუატაციისა და მართვის საფუძველი იქნება. საწარმოების პერსონალი გაეცნობა და გაივლის შესაბამის სწავლებას ზემოთ აღიშნული მოწყობილობითა და მასალებით სწორად სარგებლობაში.

საერთაშორისო ტენდერის შედეგად ხელშეკრულებები დაიდო ტენდერში გამარჯვებულ კომპანიებთან შემდეგ ლოტებზე:

I ლოტი:

- 5 ერთეული ასანიზაციის სპეციალიზირებული მანქანა 3 $მ^3$ მოცულობის ავზით;
- 2 ერთეული ასანიზაციის/ჰიდრავლიკური (ქავლით მოქმედი) მანქანა 5 $მ^3$ მოცულობის ავზით.

II ლოტი:

- 5 ერთეული ექსკავატორ-დამტვითველი;
- 7 ერთეული პიკაპის ტიპის სატრანსპორტო საშუალება, პარამეტრებით 4x4;
- 5 ერთეული 4 ტონიანი სატვირთო ავტომანქანა ამწე-კრანით;
- 1 ერთეული მსუბუქი (სამგზავრო) ავტომობილი.

III ლოტი:

- სხვადასხვა მოწყობილობა  და ხელსაწყოები  წყალმომარაგებისა  და წყალარინების ქსელების საექსპლუატაციო  და უზრუნველყოფითი  სამუშაოებისთვის;
- ლაბორატორიის მოწყობილობა;
- სხვადასხვა მასალა სარემონტო  სამუშაოებისთვის  (მილები: სხვადასხვა სარემონტო მასალა DN 20 – 63 მმ წყლის  მილებისთვის).

2020 წლის დეკემბერში ტენდერის  ლოტების  შესაბამისად ხელშეკრულება  გაფორმდა  შემდეგ კომპანიებთან:

- ლოტი 1: შპს „ჯი-თი გრუპთან“  595,000.00 ევროს ღირებულებით;
- ლოტი 2: შპს „ჯი-თი გრუპთან“  968,700.00 ევროს ღირებულებით;
- ლოტი 3: E.+E. Boss GmbH-თან 414,347.00  ევროს ღირებულებით;